

„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული
სამსახური“

„State Hydrographic Service of Georgia“



საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური



მეზღვაურთა უწყებანი

უწყება №
8-10

გამოშვება №07
თარიღი: 5 ივლისი 2013წ.

საზღვაო რუკები და სახელმძღვანელოები უნდა იქნეს შესწორებული მეზღვაურთა უწყებების მიხედვით. მეზღვაურთა უწყებანი ქვეყნდება როგორც ცალკეული გამოცემა და ყოველ გამოცემას აქვს საკუთარი რიგითი ნომერი. ნუმერაცია ნარჩუნდება მუდმივად, მთლიანი კალენდრული წლის განმავლობაში.

მეზღვაურთა უწყებანის გამოცემის მიზანია: დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მეზღვაურებს მომხდარ ცვლილებებზე: როგორც სანავიგაციო ვითარებით ასევე ნაოსნობის რეჟიმში.

საზღვაო რუკებისა და ლოციის განახლებისთვის საჭიროა მეზღვაურები ინფორმირებულნი იყვნენ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ, შემდეგში;

- I. ახალი აღმოჩენილი დაბრკოლებები როგორცაა: მარჩხოები, მუხეჩი, კლდეები, ქვები და ასევე ვულკანური წარმონაქმნები.
- II. ნებისმიერი ცვლილებები რუკებსა თუ სანავიგაციო სახელმძღვანელოებში.
- III. აუცილებელი ინფორმაცია თვალსაჩინო ნიშნებისა და ობიექტების რუკებზე დასატანად და სხვა ინფორმაცია, რომელიც გაამარტივებს უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფას.

მონაცემები და ადგილ მდებარეობა დაბრკოლებების შესახებ, რაც შეიძლება ზუსტად არის წარმოდგენილი.

პუბლიკაციებზე წარგზავნისას მითითებულია პუბლიკაციის ნომერი და გამოშვების წელი.

რუკებზე გეოგრაფიული კოორდინატებით წარგზავნისას მითითებულია რუკის ნომერი და გამოცემის წელი.

ინფორმაცია მეზღვაურთათვის

მეზღვაურთა უწყებებში ობიექტების ადგილმდებარეობა მოცემულია გეოგრაფიულ და პოლარულ კოორდინატებში, გრძედები მოყვანილია გრინვიჩიდან. მოყვანილი კოორდინატები შეესაბამება მსხვილმასშტაბიანი რუკების კორექტირებას. რეკომენდირებული გზების თუ კვეთების მიმართულებები ორმხრივია: პირველი ზღვის მხრიდან (პირველი კვეთის ნიშნიდან კვეთის ბოლო ნიშნამდე), მეორე ზღვის ნაპირიდან. ვანათების მიმართულების სექტორი მოცემულია გრაფიკულად, საათის ისრის მიმართულებით. სიმაღლეები მოცემულია მეტრებში.

ბუნებრივ ობიექტთა სიმაღლეები (როგორცაა: მთები, გორაკები, ბორცვები, კლდეები და სხვა) და აგრეთვე მაშუქების სიმაღლეები, რომლებიც ატარებს სანავიგაციო დატვირთვას ათვლილია ზღვის დონიდან, რომელიც ასევე განსაზღვრავს რუკაზე მოცემულ სიმაღლეებს. ნავებობათა სიმაღლეები მოცემულია საძირკველიდან. თუ ნავებობათა სიმაღლეები მოცემულია ზღვის დონიდან ეს არის მითითებული.

მაშუქები, რომლებიც სანავიგაციო მნიშვნელობას ატარებს, მათი ნათების მანძილი განისაზღვრება საზღვაო მილებში. სიღრმეები განისაზღვრება მეტრებში სიდიდიდან რომლებიც ამ რეგიონში ათვლის წერტილად ითვლება და განისაზღვრება როგორც მოცემული რუკის ნული.

რუკები და პუბლიკაციები გამოიცემა საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია-----	1-4
I.საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი-----	5-6
II.რუკის კორექტურა-----	7-8
III.სანავიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში-----	9
IV.სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა-----	10
V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა-----	11

I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი

რუკები

№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი
GE103	8				
GE10	9				
A3313	9				
GE103	10				

წიგნები

გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი

II. რუკების კორექტურა

შავიზღვა, საქართველოს სანაპირო

8. რუკა № GE103; საქართველო, შავი ზღვა

სანავიგაციო ნიშანი №2465/5763 დროებით გაუქმებულია (მიმდინარეობს დემონტაჟი) შემდეგ კოორდინატებში:

$\phi=42^{\circ} 09.47' N$

$\lambda=41^{\circ} 39.09' E$

9. რუკა № GE10; A3313; საქართველო, შავიზღვა

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტმა, ოპერაციების მართვის მთავარმა სამმართველომ ჩაატარა საზღვაო სასწავლო სროლები, შემდეგ კოორდინატებში:

1. $\phi=41^{\circ} 55'00''N$
 $\lambda=41^{\circ} 33'00'' E$

3. $\phi=41^{\circ} 55'00'' N$
 $\lambda=41^{\circ} 22'00''E$

2. $\phi=41^{\circ} 48'00''N$
 $\lambda=41^{\circ} 33'00'' E$

4. $\phi=41^{\circ} 48'00'' N$
 $\lambda=41^{\circ} 22'00'' E$

2013 წლის 26 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით 11:00 საათიდან 18:00 საათამდე უსაფრთხოების მიზნით, მოცემულ საზღვაო რაიონში ნაოსნობა აკრძალული იყო.

10. რუკა № GE103; საქართველო, შავიზღვა

სანავიგაციო ნიშანი №2465/5763 აღდგენილია ახალი მეტალის, კოლონას ტიპის კონსტრუქციით თეთრი ნათება 5 წამი; (გამოკრთომა -0.5 წმ; სიბნელე 4.5წმ; 1 მილი) შემდეგ კოორდინატებში:

$\phi=42^{\circ} 09.47' N$

$\lambda=41^{\circ} 39.09' E$

III. სანავიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

IV. სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა

V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა